

ირინე მოდებაძე

Irine Modebadze

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

საქართველო აზერბაიჯანულ კულტურულ სივრცეში

Georgia in the Azerbaijani Cultural Space

DOI: <https://doi.org/10.62119/lr.45.2025.10029>

Georgians and Azerbaijanis have been living side by side in the South Caucasus since ancient times. Despite the fact that Georgia is an ancient Orthodox country, and Azerbaijan is a part of Islamic civilization, ethnic and religious differences have never become the cause of wars caused by mutual hatred. Not only in ancient times, but also in the following centuries, our ancestors considered Azerbaijani-Georgian cultural relations as spiritual kinship. The text of Shota Rustveli's poem confirms this cultural closeness: in the intertextual space of "The Knight in the Panther's Skin" we not only hear the characters of "Leyli and Majnun" (1188) by Nizami Ganjavi, but also the allusions of the poem's episodes: (1327.4). Nizami's heroes are also mentioned in "Tamariani" by Chakhrukhadze (1170-1212). The heroes of Nizami never evoked the feeling of "stranger" in Georgian readers: Georgia was not a "stranger" country for Azerbaijani poets (Khaqani Shirvani, Falaki Shirvani, Mola Vali Vidadi, Mola Panah Vagif etc.)

In the 19th century the Russian Empire conquers the North Caucasus; the kingdoms and khanates of the South Caucasus gradually lose their independence. In the 40s of XIX century Tbilisi (Tiflis) became the political-administrative, socio-economic and cultural center of the Caucasus. Almost all prominent figures of Transcaucasia lived and worked in Tiflis (Mirza Fatali Akhundov, Abasquli Agha Bakikhanov, Ismail Bey Gutgashinli and many others. Famous Azerbaijani writers Nariman Narimanov Abdullah Shaygi Talibzade and others were born here. As a result, different, the so-called "Literary space of Tiflis" was established. The work of Azerbaijani writers in the literary space of Tiflis had a great impact on the development of Azerbaijani writing and contributed to its Europeanization.

Literary enlightenment that began at the turn of the 19th-20th centuries was of special importance for the Azerbaijani literary process, in the development of which the literary environment of Tiflis played a part. In the late 19th century and the beginning of the 20th century, Tiflis was one

of the important centers of Azerbaijani culture. Narimanov's, Akhverdiyev's, Vezirov's and others' plays were staged, but the most important contribution to the development of Azerbaijani drama belongs to Mirza Fatali Akhundov plays. If in the 19th century Mirza Fatali Akhundov appears as a prominent figure in the Azerbaijani literary space of Tiflis, at the beginning of the 20th century it is already a prose writer, publisher of the magazine "Molla Nasraddin" Jalil Mammadkulizade (in the years 1906-1914 the famous Azerbaijani satirical magazine "Molla Nasraddin" was printed in Tiflis). Azerbaijani literary works were often published in Georgian newspapers.

During the Soviet period, the Georgian-Azerbaijani literary lifestyle changed: Tbilisi lost the function of the Transcaucasian administrative center and the Azerbaijani cultural center, but the leading ideas of the socialist ideology of "friendship of peoples" and the creation of a new identity of the "Soviet people" promoted cultural relations and personal contacts. At the end of the 20th century the development process of Georgian-Azerbaijani literary relations slowed down, but later it was not only restored, but underwent qualitative changes, which corresponded to the ongoing democratic reforms in public life.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, აზერბაიჯანული კულტურა, კულტურული ურთიერთობები

Key words: Georgia, Azerbaijani cultura, cultural relationships

უძველესი დროიდან სამხრეთ კავკასიაში გვერდიგვერდ ცხოვრობენ ქართველები და აზერბაიჯანელები. ცნობილია, რომ „ლიტერატურული ურთიერთობა ამ ორ ერს შორის ნამდვილად უხსოვარი დროიდან მოდის და ისეთივე მდიდარია, როგორც უშუალოდ მათი ისტორია“ (ჩობანოვი, 2016). მეზობელ ხალხთა ისტორია არაერთ ურთიერთდახმარების ამბავს მოგვითხრობს. საუკუნეთა განმავლობაში ისინი ხშირად ერთად იბრძოდნენ დამპყრობელთა წინააღმდეგ: 1054 წელს მეფე ბაგრატ IV-ის სარდლობით ქართველები მონაწილეობდნენ სამხრეთ აზერბაიჯანის დაცვაში; შირვანის დაცვისას ტახტის მემკვიდრის, დემეტრეს სარდლობით მეზობელ ხალხთან ერთად იბრძო-

და დავით აღმაშენებლის ჯარი; განჯის გათავისუფლებას ირანელებისგან ეხმარებოდა დავით სოსლანი; XII-XIV საუკუნეებში ქართველები და აზერბაიჯანელები ერთად იბრძოდნენ მონღოლთა შემოსევების წინააღმდეგ (იხ.: ბუიუქჩინარი, 2019), ხოლო 1236 წელს თბილისზე თავდასხმისას ქართველებთან ერთად ქალაქს აზერბაიჯანელებიც იცავდნენ. ერეკლე II-მ და ყარაბაღის მმართველმა იბრაჰიმ ხანმა სამხედრო კავშირი დადეს და 1795 წელს ქართველთა ჯარი იბრძოდა ყარაბაღის დასაცავად, მოგვიანებით კი, თბილისის დაცვისას, ქართველთა ჯარს ზურგს უმაგრებდნენ აზერბაიჯანელი მხედრები. 1797 წელს ყარაბაღში მოკლეს თბილისის დამპყრობელი აღა-მაჰმად-ხანი. ცნობილი აზერბაიჯანელი მწერალი და ისტორიკოსი ჩინგიზი ყაჯარი იმოწმებს: „*მრავალი ისტორიკოსი იზიარებს იმ აზრს, რომ აღა-მაჰმადი დაიღუპა შეთქმულების შედეგად, რომელსაც ხელმძღვანელობდა ირანის ოპოზიციასთან, ან საქართველოს მეფე ერეკლე II-სთან დაკავშირებული, მასთან დაახლოებული პირი. <...> იბრაჰიმ ხალილ ხანი იყო ქართველი მეფის ახლო მოკავშირე და თუ შეთქმულებას ჰქონდა ადგილი, გამორიცხებული არ არის, რომ იბრაჰიმ ხალილ ხანსაც მიეღო მასში მონაწილეობა*“ (Каджар, 2007, გვ. 64-65), აქ და შემდგომ ციტატები ქართულად თარგმნა *ი.მ.*). აზერბაიჯანელი ისტორიკოსების ვარაუდები ეფუძნება ქართველებისა და აზერბაიჯანელების პოლიტიკური ინტერესების თანხვედრას, მაგრამ აღა-მაჰმად-ხანის მკვლელობას დიდი ემოციური დატვირთვაც ჰქონდა. ამ ამბავს კარლო კალაძემ (1907-1988) მიუძღვნა ბალადა „ზულფიგარი“ (1969), რომელსაც წინ უძღვის აზერბაიჯანელი პოეტი სულეიმან რუსთამისადმი (სულეიმან ალი-აბასოღლუ რუსტამზადე, 1906-1989) მიმართვა: „*აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი ააოხრა, მოგვიკლა საიათნოვა და ვაგიფს საკვდილი მიუსაჯა. ვინც აღა-მაჰმად-ხანს ყარაბაღში ყელი გამოსჭრა – იგი ჩვენი გმირიცაა, სულეიმან...*“ (კალაძე, 1970, გვ. 71). პოეტურ ტექსტში ეს აზრი მხატვრულ ელფერს იღებს:

*„ჩემი ხალხის გმირი გახდა სწორედ შენი ხალხის შვილი –
ყარაბაღში როცა დახვდა
აღა-მაჰმად-ყაჯარს!
ხომ სიკვდილით სჯიდა ვაგიფს
აღა სისხლით გალემილი,
რომ იმ ღამით არ დაეკლა ზულფიგარის ხანჯალს!..“*
(კალაძე, 1970, გვ. 74)

ამ ქმედების ისტორიული მნიშვნელობის გარდა, ბალადაში ვაგიფის ბედის განცდაც ნათლად იკითხება. XVIII საუკუნის აზერბაიჯანელი პოეტი მოხსენიებულია, როგორც ერთობლივი კავკასიური კულტურის დიდი წარმომადგენელი.

„ვაგიფის ლექსების პოპულარობა ძალიან დიდი იყო არა მხოლოდ აზერბაიჯანელებში, არამედ ქართველებსა და სომხებშიც. ცნობილია, რომ იმდროინდელ კავკასიაში კულტურათა შორის საკომუნიკაციო ენა იყო აზერბაიჯანული, ხოლო მისი ლექსების ჩანაწერები შემონახულია არა მხოლოდ აზერბაიჯანული ანბანით, არამედ საქართველოში ქართული ანბანით, სომხეთში კი სომხურით“, – იმოწმებს აზერბაიჯანელი ისტორიკოსი (კაჯარი, 2007, გვ. 66). ვაგიფის ლექსის ესთეტიკური დახვეწილობა ქართული კულტურული მეხსიერების ნაწილად იქცა. აღფთოვანება მისი პოეზიით XXI საუკუნის პოპულარულ სიმღერაშიც ჟღერს: *„მე ვაგიფის ტკბილ ენაზე ვმღერ“* („ვაგიფი“: მუსიკა ვაჟა აზარაშვილის, ლექსი პეტრე გრუზინსკის; შემსრულებლები – ნანი ბრეგვაძე, ლელა წურჭუმია, გიორგი სუხიტაშვილი).

რა თქმა უნდა, პოლიტიკური ინტერესებით ნაკარნახევი ქორწინებებისა და სამხედრო ალიანსების გარდა, მეზობელი ხალხების ისტორიაში პოლიტიკურ ინტრიგებსა და ფეოდალურ მტრობასაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ საქართველო უძველესი მართლმადიდებლური ქვეყანაა, ხოლო აზერბაიჯანი ისლამური ცივილიზაციის ნაწილია, ეთნიკური და რელიგიური სხვაობა არასოდეს გამხდარა ურთიერთსიმღელვით გამოწვეული ომების მიზეზი.

„საქართველოში აზერბაიჯანელების დასახლების ისტორია ძირითადად XV საუკუნის დამლევსა – XVII საუკუნეში იწყება“, – ძველ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით იმოწმებს ნ. ვოლკოვა (ვოლკოვა, 1978, გვ. 109), და ასევე, როგორც წინა საუკუნეებში, დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ ეთნიკური აზერბაიჯანელები (2002 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 6,2% – სულ 284 761 კაცი, ხოლო 2012 წელს დაფიქსირდა 6,6% – იხ.: „ეთნიკური ჯგუფები საქართველოში“), აზერბაიჯანში კი, ოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით 10 000 ქართველია რეგისტრირებული (ქვეყნის მოსახლეობის 0,1%).

ცნობილი აზერბაიჯანელი ქართველოლოგის დილარა ალიევას სიტყვებით, *„ამ ურთიერთობების სათავე უძველეს დროში უნდა ვეძიოთ, მისი ექო დღემდე ისმის მითებში, ბაიათებსა და აშულების შემოქმედებაში“* (ალიევა, 1981, გვ. 3). წინაპართა კულტიდან მომდინარე, ძველად სხვადასხვა ხალხის სულიერი სიახლოვე აიხსნებოდა მათი

ნათესაობით. აზერბაიჯანელების წინაპართა შესახებ არსებობს რამდენიმე თქმულება, მაგრამ შუა საუკუნეების კავკასიაში ქრისტიანებიც და მუსლიმებიც თავიანთ წარმოშობას ძველი აღთქმის ბიბლიურ პერსონაჟებს უკავშირებდნენ. „ქართლის ცხოვრების“ (XI ს.) ერთ-ერთ-ერთ თხზულებაში, კერძოდ, ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანცა მამათა და ნათესავთა“ პირველ თავში („ამბავი რვათა ძმათა“)¹ ნათქვამია, რომ ყველა კავკასიელ ხალხთა წინაპრები, მათ შორის აზერბაიჯანელებისა („*მოვაკანელების*“) და ქართველების, იყვნენ ერთი მამის – ლეგენდარული თარგამოსის შვილები. ბიბლიის გადმოცემით, ბაბილონის გოდოლის მშენებლობით განრისხებულმა უფალმა „*აღრია მთელი დედამიწის ენა და აქედან გაფანტა ისინი უფალმა დედამიწის ზურგზე*“ (დაბ. 11. 1-9). მსგავსი ამბავი აღწერილია ყურანშიც, მაგრამ ბიბლიისგან განსხვავებით, „*ალკასას*“ („თხრობა“) სურებში (28: 36-40) ნათქვამია, რომ გოდოლი შენდებოდა ეგვიპტეში ფარაონის („*ფირაუნის*“) ბრძანებით. ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ უფლის ნებით ნოეს შვილთაშვილი თარგამოსი (ებრ. תורגומ – თორგომა, სომხური Թորգոմ – თორგომ), დასახლდა არარატთან: „*პირველად ვაქსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა – ამათ თვსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. <...> შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენეს ბაბილონს გოდოლი, და განეყვნეს მუნ ენანი და განიბნინეს მუნით ყოველსა ქუეყანასა. და წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავით-ურთ მისით, და დაემკვდრა ორთა მათ მათა შუა კაც-შეუვალთა, არარატსა და მასისსა*“ (მროველი, 1955) („მასისი“ – „დიდი არარატის“ ძველი სომხური სახელწოდებაა, ი.მ.). XX საუკუნემდე დაწერილი თითქმის ყველა ისტორიული ნაშრომი იმეორებს ამ ამბავს. მაგალითად, ნიკო (ნიკოლოზ) დადიანი თავის „ქართველთა ცხოვრებაში“ აღნიშნავს: „*ქართლი აღეშენა პირველ ქართლოსის მიერ, რომლისაცა სირასა მოუთხრობენ სემისა და იაფეთისაგან ისტორიანი სომეხთა და ქართველთანი ესრეთ, ვითარმედ: ჰყვა მას მემკვიდრედ ავინან და შემდგომად ავინანისა თარშის და თარშისა შემდგომად თარგამოს. და ესე იყო მამა არმანთა, გრიზთა, მოვაკანთა, ჭერთა, ლეკთა, მეგრელთა და კავკასთა*“ (დადიანი, 1962,

¹ ზოგი მოსაზრებით (პირველად ეს თვალსაზრისი პ. ინგოროყვამ გამოთქვა გასული საუკუნის 30-იან წლებში), ლეონტი მროველი უფრო ადრეული ხანის ავტორია და მისი მოღვაწეობის დრო განისაზღვრება VIII საუკუნით.

გვ. 67). აღსანიშნავია, რომ თანამედროვე გენეტიკურმა კვლევებმა დაადასტურა ამ გადმოცემის ჭეშმარიტება: კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა უმრავლესობა უძველესი ევროპული ჰაპლოჯგუფის J2 გენის მქონეა (აზერბაიჯანლების 30%, ქართველების – 27%). აზიიდან მოსულ ეთნოსებში ეს ჰაპლოჯგუფი გავრცელებული არ გახლავთ, რაც იმის დასტურია, რომ თავდაპირველად კავკასიის დასახლება, მართლაც, ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიიდან მომდინარეობდა (იხ.: გარშინი, 2023).

მაშასადამე, არა მხოლოდ უძველეს ხანაში, არამედ მომდევნო საუკუნეებშიც ჩვენი წინაპრები აზერბაიჯანულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობებს მიიჩნევდნენ სულიერ ნათესაობად. ამ კულტურულ სიახლოვეს შოთა რუსთველის პოემის ტექსტიც ადასტურებს: „ვეფხისტყაოსნის“ ინტერტექსტუალურ სივრცეში ვხდებით არა მხოლოდ **ნიზამი განჯელის** „ლეილი და მიჯნუნის“ (1188) გმირების მოხმობას (იხ.: ელბაქიძე, მოდებამე, 2022, გვ. 382-383), არამედ პოემის ეპიზოდების ალუზიებსაც: „*მისნი ვერ გასძლნეს პატიჟნი ვერ კჳდნ, ვერცა საღამან*“ (1327.4). ნიზამის გმირები მოხმობილია ჩახრუხადის (1170-1212) „თამარიანშიც“ (ჩახრუხამე, 2004). ის, რომ დიდი ქართველი პოეტები კომენტარის გარეშე მიმართავდნენ ნიზამი განჯელის ტექსტებს, ადასტურებს, რომ მათი მკითხველი კარგად იცნობდა მის შემოქმედებას. მეტიც: ინტერტექსტუალობა – სხვადასხვა დისკურსების თანხვედრა – კულტურათა დიალოგია ერთი ტექსტის სივრცეში. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში ინტერდისკურსი „*ნებისმიერ დისკურსში არსებული უცხო საწყისად*“ (პიეგე-გრო, 2008, გვ. 71) მიიჩნევა, მაგრამ ქართველ მკითხველში ნიზამის გმირები არ ტოვებდნენ „უცხო“ შეგრძნებას. დიდი აზერბაიჯანელი პოეტის შემოქმედებით გატაცება არც მომდევნო საუკუნეებში იკლებს: თუ XVII საუკუნეში ნოდარ ციციშვილმა თარგმნა სამი ნოველა მისი პოემებიდან „ლეილი და მიჯნუნ“ და „შვიდი მზეთუნახავი“, XVIII საუკუნეში ნიზამი განჯელის ნაწარმოებების ახალი ქართული რედაქციებიც გაჩნდა.

ნიზამის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ისქანდერ-ნამეს“. ამ პოემაში აისახა ამიერკავკასიაში ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლისადმი გაწეული წინააღმდეგობის ერთობლიობა. აღსანიშნავია, რომ ამ ტექსტში აზერბაიჯანელმა პოეტმა აღმოსავლელ პოეტაგან პირველმა გამოხატა აღფთოვანება საქართველოს „სამოთხისეული“ ბუნებით და თბილისის სილამაზით. მისი სიტყვებით, საქართველო – „*სინათლეა თვალისა*“, თბილისი კი „*არის მიწა, სამოთხის მორთულობებით შემკული*“.

XII საუკუნის საქართველო „უცხო“ მხარე არც სხვა აზერბაიჯანელი პოეტებისთვის იყო. შემორჩენილია შირვანშაჰის სამეფო კარის ცნობილი პოეტის აფზალ ალ-დინ ბადილ ჰაკანი (*ჰაკანი*) შირვანის (აზერ. *Xaqani Şirvani*, 1120/1126 - 1199) წერილების კრებული, რომლითაც დასტურდება, რომ მას ჰქონდა მიმოწერა ქართველ მოღვაწეებთან. შაბურანის ციხის საპყრობილეში დამწყვდეულმა პოეტმა შექმნა „ციხის კასიდების“ ციკლი, სადაც „ქრისტიანულ კასიდაში“ იგი ასახელებს ბაგრატიონთა რეზიდენციებს – ნაჭარმაგევსა და მუხრანს, და საპყრობილიდან გაღწევაზე და ბაგრატიონთა კარზე თავშესაფარზე ოცნებობს. ბაგრატიონთა სამეფო გვარის ცხოვრების ამბები გულთან ახლო მიჰქონდა ჰაკანის მოწაფესაც – ფელეკი (*ფალექი*) შირვანის (აბულ-ნიზამ მუჰამადს). მას ეკუთვნის მარშა (სამგლოვიარო ოდა), რომელშიც პოეტი ქართველი მეფის დემეტრე I-ის (1125-1156) გარდაცვალებას დასტირის და აღწერს მის საგმირო ქმედებებს. დავით აღმაშენებლის უფროსი ვაჟი დემეტრემ ჯერ კიდევ ტახტის მემკვიდრედ ყოფნისას დიდგორისა და შირვანის ბრძოლებში გამოაჩინა თავი; 1117 წელს მეფე დავითმა იგი წარგზავნა შირვანს სალამქროდ, სადაც დემეტრემ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, ხოლო 1138 წელს დემეტრე I-ის სარდლობით ქართველებმა განჯა აიღეს და გამარჯვების ნიშნად ქალაქის კარი მოიტანეს საქართველოში (ის დაცულია გელათში).

XVIII საუკუნის არაერთი გამოჩენილი მოღვაწე იყრიდა თავს ერეკლე II-ის ტახტთან, მათ შორის აზერბაიჯანელი პოეტი **მოლა ვალი ვიდადი** (აზერ. *Molla Vəli Vidadı*). ვიდადიმ რამდენიმე წელი გაატარა თბილისში, სადაც ზოგიერთი წყაროს თანახმად, ის მსახურობდა სამეფო კარის პოეტად. ქართული წყაროები ადასტურებენ, რომ აზერბაიჯანელი პოეტი თბილისის გუბერნატორის სასახლეში საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდა. მან არაერთი სტრიქონი მიუძღვნა საქართველოს და ქართველებს. მეფის ვაჟის, ლევანის, გარდაცვალებისთანავე, 1781 წელს, ვიდადიმ დაწერა გარდაცვლილის ელეგია.

როგორც იბრაჰიმ ჰალილ ხანის დიპლომატი და ყარაბაღის სახანოს ვეზირი (*ეშიკ ალა* – გარე საქმეების პასუხისმგებელი პირი) განთქმული აზერბაიჯანელი პოეტი **მოლა პანაჰ ვაგიფი** (აზერ. *Molla Pənah; დ. 1717-1797 წწ*) რამდენჯერმე ესტუმრა თბილისს, სადაც დაუმეგობრდა ქართველ უფლისწულ იულონს (ბატონიშვილს), რომელსაც მიუძღვნა „მუხამა“. ჩვენ უკვე ვახსენეთ, თუ როგორი კვალი დატოვა ქართულ კულტურულ მეხსიერებაში ვაგიფის შემოქმედებამ. აქ მხოლოდ იმას აღნიშვნავთ, რომ აზერბაიჯანელი პოეტის შემოქმედე-

ბით მეძვედრობაში საქართველოსა და ქართველებისადმი მიძღვნილი არაერთი ლექსი მოიძებნება. მოვიყვანთ ერთ მაგალითს, ნაწყვეტებს ლექსიდან „თბილისი“:

„დიდება თბილისს! დედამიწაზე
ეს ედემის ბაღი შვებისა,
შემოკრებილან მასში გუნდები
ჰურიების და ფერიებისა.

<...>

ჰარბი სიტურფე, რითაც მოკვდავი
სრულყოფამდეა ამაღლებული,
აქვთ საქართველოს მშვენიერ
ქალებს
განგებისაგან მომადლებული.
თუ ცა და ქვეყნის მპყრობელის
მიმართ
რაიმე კითხვა დასაშვებია,
მაშინ, უფალო, გვარქვი, მიზეზად
ამ სილამაზეს რა დასდებია?
არის უთუოდ ფარული აზრი
მათ შვეწებაში მოთავსებული!

<...>

მრავალი ნიშნით სჩანს, რომ
უფალი
მათი მოსარჩლე და მოწყალეა,
რომ ცა და ქვეყნის გამჩენის
მადლით

არიან ესრეთ დამშვენებული.

<...>

ერთი ნაშანი არის აბანო,
მათთვის განგებით მინიჭებული,
მეორე არის წყალი მტკვარისა,
ვით უკვდავების წყარო ქებული,
კიდევ ნიშანი – მოხდენილობა,
შნო და სიტურფე მათი სახისა
და კვლავ ნიშანი – განმარიდები
მათგან ჭირის და სივაგლახისა –
პატრონი მათი, მსოფლიოს თავი,
მეფე მაღალი და დიდებული“.*

(*იგულისხმება მეფე ერეკლე – *ი.მ.*)

ვაგიფი. „თბილისი“ /თარგმ. კონსტ.ჭიჭინაძე/
(ვაგიფი, 1968, გვ. 21-26).

XIX საუკუნეში იცვლება კავკასიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მდგომარეობა: რუსეთის იმპერია იპყრობს ჩრდილოეთ კავკასიას; ეტაპობრივად კარგავენ დამოუკიდებლობას და უზარმაზარი იმპერიის ნაწილად იქცევიან სამხრეთ კავკასიის სამეფოები და სახანოები. თავისი უნიკალური გეოპოლიტიკური, გეოკულტურული თუ ეკონომიკური მდგომარეობით არა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასია, არამედ ამიერკავკასიაც იმპერიისთვის უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოადგენდა. მთელი საუკუნის განმავლობაში იცვლებოდა რუსეთის იმპერიის ნაწილად ქცეული კავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტატუსი (გუბერნია, სამეფისნაცვლო), მისი მაზრებად, ოლქებად, ოკრუგებად დაყოფა და სხვადასხვა ქალაქისათვის ადმი-

ნისტრაციული ცენტრის სტატუსის მინიჭება (გეორგიევსკისთვის, სტავროპოლისთვის, ტიფლისისთვის).

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობების სიმბოლოდ გვევლინება ქართველი პოეტ-რომანტიკოსის **ნიკოლოზ ბარათაშვილის** (1817-1845) და აზერბაიჯანელი პოეტი ქალის, **გონჩა ბეგუმის** ურთიერთობა. თავისი სიცოცხლის ბოლო ოთხი თვე ნიკოლოზ ბარათაშვილი მსახურობდა ნახჭევანსა და განჯაში, სადაც გაიცნო გონჩა ბეგუმის ფსევდონიმით (ბეგუმ /begüm/ – მუსლიმურ სამყაროში მიღებული ტიტული და მიმართვა კეთილშობილი ქალბატონისადმი) ნახჭევანის ცნობილი უკანასკნელი ხანის, ექსან-ხან ნახჭევანელის /კენგერლის/ (აზ. Ehsan xan Kəlbəli Xan oğlu Naxçıvanski /Kəngərli/, 1789-1846) ქალიშვილი გონჩა ბეიმი (აზ. Qönçəbəyim Naxçıvanski, 1827-?). 1845 წლის გაზაფხულზე მაიკო ორბელიანისათვის მიწერილი წერილებიდან ვლინდება, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოეტზე ახალგაზრდა ქალის ცხოვრების ტრაგიკულმა ამბავმა და პოეტურმა ნიჭმა. ნ. ბარათაშვილი მოხიბლული იყო გონჩა ბეიმის პიროვნებით და გარეგნობით. ის „*ძალიან ლამაზი და მარილიანია*“, – აღნიშნავდა პოეტი. ქართველ მეცნიერთა აზრით (შარაბიძე, 2010, ცერცვაძე, 2017, თუმბრაშიშვილი, 2020, სარია, 2021, გვ. 103-105 და სხვა), გონჩა ბეიმი იყო ნ. ბარათაშვილის ბოლო პოეტური მუზა, რომელსაც, სავარაუდოდ, პოეტმა მიუძღვნა ორი ლექსი – „*მადლი შენს გამჩენს*“ და „*დამქროლა ქარმან სასტიკმან*“.

წერილში „გონჩა-ბეგუმ“ (წერილი XIV) ნ. ბარათაშვილი ყვება პოეტი ქალის ერთ-ერთი ლექსის შინაარსს და პირობას დებს, რომ „*ამ ლექსს დავაწერინებ და თავის თარგმანით გამოგიგზავნი*“ (ბარათაშვილი, 1968, გვ. 194). სავარაუდოდ, პოეტმა შეასრულა თავისი დანაპირები და გონჩა ბეგუმის რამდენიმე ლექსის ტექსტი თბილისში გადააგზავნა. მართალია, ეს დოკუმენტურად არ დასტურდება, მაგრამ ივ. ენიკოლოპოვის მტკიცებით (იხ.: ენიკოლოპოვი, 1938), ნ. ბარათაშვილის მიერ ნათარგმნი „*გონჩა ბეგუმის პოემის ტექსტი*“ თავისი სიმღერისთვის გამოიყენა სახელგანთქმულმა აშულმა **სათარამ** /სათარალამ/ (აზერბ. *Səttar*, 1828-1891). სხვა წყაროების მიხედვით, აზერბაიჯანელი მგოსანი-ხანენდე თავისი მუღამებისთვის ხშირად არა მხოლოდ ჰაფეზის (შამს ედ-დინ მოჰამედ შირაზი ჰაფეზი, 1320-1389), საადის (მოსლეჰ ედ-დინ აბუ მოჰამედ აბდ ალ-ლაჰ იბნ მოშრეფ საადი შირაზელი, 1203-1292) და ფუზულის (მუჰამედ სულეიმან-ოღლუ ფუზული, 1494-1556) პოეზიის, არამედ გონჩა ბეგუმის ლექსების ინ-

ტერპრეტირებასაც მიმართავდა ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე. ნ. ბარათაშვილის წერილებიდან (წერილები XIII და XIV) დასტურდება, თუ რაოდენ აღფთოვანებული იყო პოეტი სათარას ხმით და ნიჭით („სათარასათვის ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანებია, რომ მაგისთანა ხმა აღარავის ექნებო!“), ცნობილია მათი პირადი ურთიერთობების ამბავიც, რაც ენიკოლოპოვის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ჭეშმარიტებას მატებს. სათარას გარდა, თბილისში წარმატებით მოღვაწეობდნენ სხვა ხანენდებიც: პოეტური, მუსიკალური და იმპროვიზაციის ნიჭით დაჯილდოებულ აშუღებს გამორჩეული ადგილი ეკავათ თბილისის იმდროინდელ კულტურულ ცხოვრებაში. „ტიფლისში უძველესი დროიდან ძალიან პოპულარული იყო აზერბაიჯანული მუსიკა და აშუღები. აშუღურ დასტანებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა დასტანი „კერ-ოღლუ“. მას მღეროდნენ აზერბაიჯანულ, ქართულ და სომხურ ენებზე. <...> პოპულარული იყო აზერბაიჯანელი პოეტის, მირზა შაფის სიმღერები. <...> არა მარტო ტიფლისში, არამედ მთელ საქართველოში დიდ პოპულარობას მიაღწია აშუღმა აზირმა“. (კაჯარი, 2007, გვ. 294).

XIX საუკუნის 40-იან წლებში (ამიერკავკასიის სამეფისნაცვლოს შექმნისთანავე) თბილისი (ტიფლისის სახელით) კავკასიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად იქცა. აქ აშენდა მეფისნაცვლის (ნამესტნიკის) სასახლე, განლაგდა მისი კანცელარია და რუსეთის იმპერიის ყველა რეგიონული, 218 სამთავრობო და ადმინისტრაციული დაწესებულება; დაარსდა გამომცემლობები, თეატრები, კულტურული და ლიტერატურული საზოგადოებების ცენტრები; გაიხსნა სკოლები, სემინარიები და გიმნაზიები. ტიფლისში მდებარეობდა სხვადასხვა რელიგიის კუთვნილი ტაძრები და რელიგიური დაწესებულებები. ასეთი „კონცენტრირების შედეგად ყველა შემოქმედი ადამიანი (პოეტი, მწერალი, მუსიკოსი, მსახიობი, პუბლიცისტი და ა.შ.) დასახლდა ტიფლისში, ამათ ხელი შეუწყო ქალაქის მდულარე და მდიდარი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული გარემოს ჩამოყალიბებას“, – აღნიშნავენ აზერბაიჯანელი მეცნიერები (ბაგიროვა, მეჯუნოვი, 2018, გვ. 217-218). თანდათან ჩამოყალიბდა სრულიად განსხვავებული ე.წ. „ტიფლისის ლიტერატურული სივრცე“, რომელიც გამოირჩეოდა მრავალფეროვანი ეროვნული ტრადიციების შერწყმით.

ამ დროიდან ახალ სახეს იძენენ ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობებიც. ტიფლისში ცხოვრობდა და მოღვაწეობ-

და ამიერკავკასიის თითქმის ყველა გამოჩენილი მოღვაწე, მათ შორის ისეთი განთქმული აზერბაიჯანელი მწერლები, როგორც **მირზა ფათალი ახუნდოვი** /აზერბ. Mirzə Fətəli Məhəmmədtəği oğlu Axundov (Axundzadə)/ (1812-1878), **აბასყული აღა ბაქიხანოვი** /აზერ. Abbasqulu ağa Bakıxanov/, ფსევდონიმი **გუდსი** /აზერ. Qüdsi/ (1794-1847), **ისმაილ ბეი გუთგაშინლი** /აზერ. İsmayıl bəy Sultan Nəsrullah oğlu Qutqaşınlı/ (1806-1861) და სხვა. აქ დაიბადნენ ცნობილი აზერბაიჯანელი მწერლები **ნარიმან ნარიმანოვი** /აზერ. Nəriman Kərbəlayi Nəcəf oğlu Nərimanov/ (1870-1925), **აბდულა შაიგი თალიბზადე** /აზერბ. Abdulla Şaiq Talıbzadə/ (1881-1959) და სხვა. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ქალაქის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ ტიფლისში დაარსდა და აქედან აზერბაიჯანში ვრცელდებოდა პირველი აზერბაიჯანული ჟურნალ-გაზეთები, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვის ეროვნული კულტურის ტრადიციებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაში (იხ.: ბაგიროვა, მეჯნუნოვი, 2018, გვ. 220). 1906-1914 წლებში ტიფლისში იბეჭდებოდა ცნობილი აზერბაიჯანული სატირული ჟურნალი „მოლა ნასრედინი“ /Molla Nasreddin, აზერბ. Molla Nəsrəddin/ (იხ.: კასუმოვი, 1960), ხოლო ქართულ გაზეთებში ხშირად ქვეყნდებოდა აზერბაიჯანული მწერლობის ნიმუშები.

აზერბაიჯანელი მწერლების მოღვაწეობამ ტიფლისის ლიტერატურულ სივრცეში დიდი გავლენა იქონია აზერბაიჯანული მწერლობის განვითარებაზე და ხელი შეუწყო მის ევროპეიზაციას. „ურთიერთობამ შემოქმედ ადამიანებთან, მათი ნაწარმოებებისა და ნამუშევრების გაცნობამ, მონაწილეობამ ლიტერატურულ შეხვედრებში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აზერბაიჯანელი ინტელიგენციის შემოქმედებაზე და მსოფლმხედველობაზე, - აღნიშნავენ აზერბაიჯანელი მეცნიერები, <...> ლიტერატურული ჟანრის, სიუჟეტის, გმირის შერჩევა უკვე არ იყო დამოკიდებული მწერლის სურვილზე, არამედ ექვემდებარებოდა კონკრეტული ლიტერატურული გარემოს ლიტერატურულ ღირებულებათა სისტემას, <...> მწერლებისთვის სწორედ ეს ღირებულებათა სისტემა იქცა მხატვრულ კრიტერიუმად“ (ალიევი, 2008, გვ. 350).

აზერბაიჯანული ლიტერატურული პროცესისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაწყებულ ლიტერატურულ განმანათლებლობას, რომლის განვითარებაში ტიფლისის ლიტერატურულ გარემოსაც მიუძღვის წილი: „როდესაც აზერბაიჯანელმა განმანათლებლებმა დაიწყეს ლიტერატურული მოღვაწეობა, ბაქოსა და ტიფლისის ლიტერატურულ გარემოში განმანათლებ-

ლობის ყველაზე შესაფერის ქანრად ითვლებოდა დრამა. შედეგად, აზერბაიჯანელი განმანათლებლების უმრავლესობა დაკავდა დრამატურგიით“ (ალიევი, 2008, გვ. 350).

XIX საუკუნის ტიფლისის კულტურულ სივრცეში თეატრალურ ცხოვრებას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. საუკუნეთა განმავლობაში „იქ, სადაც აზერბაიჯანელები კომპაქტურად იყვნენ დასახლებული, მართავდნენ სახალხო წარმოდგენებს მოედნებზე, ჩაიხანებსა და ყავახანებში, წელიწადში ერთხელ, რამაზანის თვეში იმართებოდა რელიგიური სანახაობები – მაგალითად, „გარაგიოზი“ (ასლანოვი, 2024, გვ. 311), მაგრამ აზერბაიჯანული თეატრის მოღვაწეობა დაიწყო 1872 წელს: მუსლიმ მოყვარულთა დასის მიერ დაიდგა აზერბაიჯანულ ენაზე მირზა ფათალი ახუნდოვის პიესა „ლენქორანის ხანის ვეზირი“. 1886 წელს ქართულ ჟურნალ „თეატრში“ გამოქვეყნდა აზერბაიჯანულენოვანი სპექტაკლებისადმი მიძღვნილი წერილი, სადაც აზერბაიჯანული დასის მოღვაწეობა დადებითად იყო შეფასებული, ხოლო ვ. მადატოვის პიესის „ფათალი-შახის“ დადგმას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო (იხ.: გაჯიევი, 1980). იდგმებოდა არა მხოლოდ ახუნდოვის, არამედ ნარიმანოვის, ახვერდიევის, ვეზიროვის და სხვათა პიესები, მაგრამ აზერბაიჯანული დრამატურგიის განვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ღვაწლი მაინც მიეკუთვნება „თათარ მოლიერად“ წოდებული მირზა ფათალი ახუნდოვის დრამატურგიას.

განთქმული დრამატურგი, პოეტი, პროზაიკოსი, ფილოსოფოსი, დემოკრატი, პედაგოგი და განმანათლებელი, აზერბაიჯანული კრიტიკის ფუძემდებელი და (მიღებული არაბულის ნაცვლად) აზერბაიჯანული ანბანის შემდგენელი, **მირზა ფათალი ახუნდოვი** (ახუნდზადე) 22 წლის ასაკიდან ცხოვრობდა ტიფლისში. „ახუნდოვი ანბანს დიდ როლს ანიჭებდა ხალხის განათლებისა და მეცნიერების განვითარების საქმეში. ბუნებრივია, ახუნდოვის პროექტი მიუღებელი აღმოჩნდა იმდროინდელი ისლამური სამყაროს სახელმწიფოებისა და მეფის რუსეთისთვის, მაგრამ მან აზერბაიჯანული ინტელიგენციის დიდი მხარდაჭერა მოიპოვა“ (ასლანოვი, 2024, გვ. 308). ახუნდზადეს დამსახურება აზერბაიჯანული კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებაში და ეროვნული მწერლობის განვითარებაში საყოველთაოდაა ცნობილი. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მისმა შემოქმედებამ მაღალი შეფასება დაიმსახურა ქართველ მწერალთა წრეში. ნ. ბარათაშვილი, გ. ორბელიანი, ნ. ბერძენიშვილი, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი და სხვა დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს

მის წერილებსა და ნაწარმოებებს. 1897 წელს ახუნდზადეს კომედია „ლენქორანის ხანის ვეზირი“, რომელიც 1898 წელს დაიბეჭდა ჟუნალ „კრებულის“ მე-7 ნომერში (გვ. 13-53) და დაიდგა ქართულ სცენაზე, სათაურით „ხანის ვეზირი“, აკაკი წერეთელმა ქართულ ენაზე გადმოიღო. მირზა ფათალი ახუნდოვისადმი მიძღვნილ ლექსში („მირზა ფათალი ახუნდოვის ხსოვნას“, 1953) აღ. აბაშელი წერდა:

„საქართველოში დაირწა
მისი ოცნების აკვანი,
აენთო და არ დაიწვა,
დარჩა ნაღელი გზა-კვალი.

ქართლის სიმღერით ტკბებოდა,
იქნებ ქართულიც იცოდა,
„მერანის“ ავტორს ხვდებოდა,
ორბელიანსაც იცნობდა.

<...>

ხავსი არ მოეკიდება
მის ხსოვნას გაუქრობელსა,
აზერბაიჯანს დიდება.
მირზა ფათალის მშობელსა!“

(აბაშელი, 1960, გვ. 147-148)

ნიშანდობლივია, რომ XIX საუკუნის თითქმის ყველა ქართველი მწერალი დიდ ინტერესს იჩენდა აზერბაიჯანული კულტურისადმი; ინტენსიურად მიმდინარეობდა აზერბაიჯანული ფოლკლორის შეგროვება, ჩაწერა, შესწავლა და თარგმნა ქართულ ენაზე. XIX საუკუნის 90-იან წლებში მომზადდა ნ. ასათიანის მიერ შეგროვებული აზერბაიჯანული /„თათრული“/ ფოლკლორის კრებული, სადაც ორიგინალურ ტექსტებს ქართული თარგმანებიც ერთვის (იხ: მირზოევა, 2018, გვ. 158).

„გურჯიოღლი (ქართველი ბიჭი) ერთ-ერთი აზერბაიჯანული საგმირო ეპოსის, „ქოროღლის“ მთავარი პერსონაჟია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ღრმა ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობების არსებობას“, – აღნიშნავს მუშვიგ ჩობანოვი. მისი აზრით, სწორედ ამ ეპოსის მოტივებს რაფიელ ერისთავის (1824-1901), ზურაბ ანტონოვის (1820-1854) და ძველი თბილისის ქალაქური პოეზიის წარმომადგენლის, დავით გივიშვილის (1850-1916) შემოქმედე-

ბაში ვხდებით, ხოლო ქართველ რომანტიკოსთა პოეზიაში (ა. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის და სხვ.) „გაისმის აზერბაიჯანული ხალხური სიმღერების მოტივები“ (ჩოხანოვი, 2016).

საყურადღებოა აზერბაიჯანული კულტურისადმი მიძღვნილი კრიტიკული წერელები: გ. წერეთლის „ნიზამი და რუსთაველი“, მირზა ფათალი ახუნდოვისადმი მიძღვნილი ა. წერეთლის წერილი და სხვა. არაერთი წერილი მიუძღვნა აზერბაიჯანულ მწერლობასა და კულტურას ი. ჭავჭავაძის „ივერია“ (იხ.: ბოგომოლოვი, მიმინოშვილი, 1985, გვ. 176-178).

თუ XIX საუკუნეში ტიფლისის აზერბაიჯანულ ლიტერატურულ სივრცეში გამორჩეულ სახედ გვევლინება მირზა ფათალი ახუნდოვი, XX საუკუნის დასაწყისში ეს უკვე პროზაიკოსი და დრამატურგი, ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ გამომცემელი **ჯალილ მამედყულიზადეა** /აზერბ. Cəlil Məmmədquluzadə/, ფსევდონიმი „მოლა ნასრედინი“ /აზერბ. Molla Nəsrəddin/, (1866-1932), რომელიც 1921 წლამდე ცხოვრობდა ტიფლისში. აზერბაიჯანელი მეცნიერებების აზრით, XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში ტიფლისი „აზერბაიჯანული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. გარკვეული ისტორიული ტრადიციების შენარჩუნებით და განვითარებით ტიფლისში არსებულმა ლიტერატურულმა გარემომ განსაკუთრებული როლი შეასრულა აზერბაიჯანული ინტელიგენციის განვითარებაში და თვითონაც გამდიდრდა მათი კულტურულ-ლიტერატურული აქტიურობით“ (იხ.: ზაგიროვა და მეჯნუნოვი, 2018, გვ. 226-227).

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოსათვის და აზერბაიჯანისთვის საკვანძო ისტორიულ მოვლენად იქცა 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მართალია, აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა მხოლოდ 23 თვე შეინარჩუნა, ხოლო საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ იარსება 10 თვით მეტი, მაგრამ ჩვენი ხალხების ეროვნული კულტურების განვითარებისთვის ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობის ყოველი დღე იყო ძალზე მნიშვნელოვანი. „საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები თავიანთი დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლების იდეის პროპაგანდის მიზნით თანამშრომლობდნენ დემოკრატიულ ბეჭდურ ორგანოებთან: „ალ ბაირადი“ (ალისფერი დროშა), „გალაჯაკი“ (მომავალი), „ვათანი“ (Vətən – სამშობლო), „გალაჯაკი ტიფლისი“ (მომავალი თბილისი), „გარდამ გაიგისი“ (ძმური ზრუნვა), „ისლამ გურჯისტანი“ (ისლამური საქართველო), „განჯლარ იურდუ“ (ახალგაზრდობის ქალაქი)

და სხვა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აზერბაიჯანულენოვან გაზეთს „ვათანი“ („სამშობლო“). „იმ პერიოდისთვის, როდესაც თბილისში (ქალაქს დაუბრუნდა თავდაპირველი სახელწოდება — *ი.მ.*) აზერბაიჯანულ ენაზე გაზეთი „ვათანი“ გამოიცა, აზერბაიჯანისგან განსხვავებით, საქართველო ჯერ კიდევ დემოკრატიული რესპუბლიკა იყო. ამიტომ აზერბაიჯანელებმა მიზნად დაისახეს, რომ თავისუფლების იდეა და დემოკრატიული უფლებები საქართველოდან დაეცვათ“ (ასლანოვი, 2024, გვ. 306, 308).

საბჭოთა პერიოდში შეიცვალა ქართულ-აზერბაიჯანული სალიტერატურო ცხოვრების წესი: თბილისმა დაკარგა ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ცენტრისა და აზერბაიჯანული კულტურული კერის ფუნქცია, მაგრამ სოციალისტური იდეოლოგიის „ხალხთა მეგობრობისა“ და „საბჭოთა ხალხის“ ახალი იდენტობის შექმნის წამყვანი იდეები ხელს უწყობდნენ კულტურულ ურთიერთობებსა და პირად კონტაქტებს. ეწყობოდა ჯგუფური „შემოქმედებითი მივლინებები“, მწერალთა „შეხვედრები“ (პირველად ქართველ მწერალთა ფედერაციის მიერ ორგანიზებული ასეთი სტუმრობა აზერბაიჯანში შედგა 1929 წლის 5 მაისს) და „პოეტური საღამოები“; რესპუბლიკური და საკავშირო მასშტაბით ტარდებოდა საიუბილეო და საზეიმო ღონისძიებები; სახელმწიფო მხარდაჭერით აქტიურად ვითარდებოდა მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მართალია, ავტორებისა და ნაწარმოებების შერჩევა მიმდინარეობდა სოციალისტური იდეოლოგიის მიერ დადგენილი კრიტერიუმებით (ძირითადი ყურადღება „საბჭოთა ყოფისა“ და „სოციალისტური მშენებლობის“ ამსახველ ლიტერატურას ეთმობოდა), მაგრამ არც წინანდელ „კლასიკოსთა“ ნაწარმოებები იყო დავიწყებული. ნიშანდობლივად მიგვაჩნია, რომ პირველივე, რაც ითარგმნა აზერბაიჯანულ ენაზე, იყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (მთარგმნ.: სამედ ვურგუნი, მამედ რაგიმოვი და სულეიმან რუსთამი). საბჭოთა პერიოდში შეიქმნა ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიისა და სოციალისტური დღევანდელობის ამსახველი უამრავი ნაწარმოები (იხ.: ბოგომოლოვი, მიმინოშვილი, 1985, გვ. 172-198; ჩობანოვი, 2016). პირადი კონტაქტები და ჭეშმარიტი მეგობრობა ხელს უწყობდა კულტურათა ურთიერთგამდიდრებას.

XX საუკუნის დამლევს საბჭოთა კავშირის დაშლას და პოსტსაბჭოურ სივრცეში დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის პროცესებს მოჰყვა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისების მძიმე წლები. ობიექტურ-ისტორიული გარემოების გამო შენელდა

ქართულ-აზერბაიჯანული სალიტერატურო ურთიერთობების განვითარების პროცესი, მაგრამ შემდგომ ის არა მხოლოდ განახლდა, არამედ განიცადა თვისობრივი ცვლილებები, რაც საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს შეესაბამება.

2010 წელს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საფუძველი ჩაუყარა „საქართველოს აზერბაიჯანელი ახალგაზრდობის კავშირს“; საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისთვის იბეჭდება ჟურნალები „Əhli-Beyt“, „İman“ (შიიტებისათვის) და „Uğur“ (სუნიტებისათვის), წარმატებით ფუნქციონირებს სახელმწიფო (ქართული) ენის შემსწავლელი კურსები და ა. შ. იმართება ქართველი და აზერბაიჯანელი მწერლების შემოქმედებითი შეხვედრები. სამწუხაროდ, საგამომცემლო მოღვაწეობის კომერციალიზაციამ შეანელა მთარგმნელობითი პროცესი, მაგრამ ამის მიუხედავად, ქართულ ენაზე ითარგმნება და იბეჭდება არა მხოლოდ თანამედროვე აზერბაიჯანელი მწერლების ნაწარმოებები, არამედ აზერბაიჯანული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლებიც. მაგალითად, 2021 წელს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებისთვის მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად იქცა ქართველი მწერლის, ზეზვა მედულაშვილის მიერ შესრულებული „ქეროღლის“ ქართულენოვანი თარგმანის გამოცემა.

ახალი მნიშვნელობა მიენიჭა ჩვენი ხალხების კულტურულ მემკვიდრეობასა და ურთიერთობებს, აქტიურად მიმდინარეობს მათი შესწავლა და კულტურული ძეგლების აღდგენა. საქართველოში დაცულია აზერბაიჯანული კულტურისთვის მნიშვნელოვანი არაერთი კულტურული ძეგლი: 2012 წელს გარემონტებული ე.წ. „გამორჩეულ აზერბაიჯანელთა პანთეონი“ – მემორიალური სასაფლაო, სადაც დაკრძალული არიან მირზა შაფი ვაზეჰი, მირზა ფათალი ახუნდოვი, ფათალი ხან ხოისკი, ჰასან ბეი ალავეი და სხვები; ნარიმან ნარიმანოვის და ჯალილ მამედკულიზადეს სახლ-მუზეუმი (განახლებული სახით გაიხსნა 2018 წელს), მირზა ახუნდზადეს სახ. აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი და სხვა.

და ბოლოს, ჩვენი დროის ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობების სიმბოლოდ გვევლინება ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრის (*Tbilisi Azərbaycan Teatri*) ახალი შენობის აგება, რომლის საძირკველს 2023 წლის ოქტომბერში ჩაეყარა საფუძველი. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში

მცხოვრები აზერბაიჯანელებისთვის და აზერბაიჯანული დრამატურგიის განვითარებისთვის ტიფლისში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაარსებულ აზერბაიჯანულ თეატრს. ტიფლისის/თბილისის აზერბაიჯანულმა თეატრმა (აზერბ. Tiflis Azərbaycan Teatrı) რთული გზა განვლო: პირველ დადგმებს აზერბაიჯანულ ენაზე მაყურებელი ძველ მაიდანზე მდებარე ბარონების ქარვასლაში ეცნობოდა. შემდგომ „სპექტაკლები იმართებოდა კულტურის ცენტრებში: „მირ“, „არაქსი“, „ავლაზარ-პალასი“, „აუდიტორია“, ორთაქალის, შეითან ბაზრის, ავლაზარის უბნებში, სადაც აზერბაიჯანული მოსახლეობა ცხოვრობდა. თეატრი საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობდა. 1912-1913 წლებში 40-ზე მეტი სპექტაკლი დაიდგა, რომლებსაც აზერბაიჯანელებთან ერთად ქართველები, სომხები, ებრაელები და ქურთებიც ესწრებოდნენ. მაყურებელში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მუსიკალური კომედიები“ (ასლანოვი, 2024, გვ. 310-311). 1922 წელს მან სახელმწიფო თეატრის ოფიციალური სტატუსი მიიღო, მაგრამ 1947 წელს თეატრი დაიხურა. მისი ფუნქციონერება მხოლოდ 2004 წელს აღდგა და მას ჰეიდარ ალიევის სახელი მიენიჭა. ისტორიული შენობა, რომელშიც ახლა მოქმედებს თეატრი, უკვე არანაკლებ ერთი საუკუნისაა. ის დაძველდა, ავარიულ მდგომარეობაშია და არ ექვემდებარება რეკონსტრუქციას. თეატრის თანამედროვე შენობის პროექტი ჩაფიქრებულია, როგორც ახალი კულტურული ცენტრი, სადაც ჩატარდება აზერბაიჯანული კულტურისადმი მიძღვნილი კონფერენციები და გამოფენები.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბაშელი, ალ. (1960). თხზულებათა კრებული ორ ტომად, ტ. II. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ასლანოვი, ელვ. (2024): საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობა კრებულ „ვათანის“ („Vətən“) ფურცლებზე. საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“, 24-25 სექტემბერი, 2020 წელი. თბილისი: „საქართველოს ეროვნული არქივი“. <https://archive.gov.ge/ge/konferentsiis-masalebi-1/saertashoriso-konferentsia-2020-2>

ბარათაშვილი, ნ. (1968): თხზულებანი. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“.

ბუიუქჩინარი, აიშე (2019): საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობები XIII-XIV სს-ში (ქართული წყაროების მიხედვით). ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ბათუმი. https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_13026_1.pdf

- დადიანი, ნ. (1962). ქართველთ ცხოვრება. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/323646/1/Qartvelt_Cxovreba_1962.pdf
- ეთნიკური ჯგუფები საქართველოში: <https://www.amerikiskhma.com/a/article/149269405/1210133.html>
- ვაგივი (1968). თბილისი: „მერანი“.
- თუშაბრამიშვილი, თ. (2020). ნიკოლოზ ბარათაშვილის ფსიქობიოგრაფია ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით. თბილისი. <https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/322054/1/NikolozBaratashvilisFsiqobiografiaEpistoluriMemkvidreobisMixedvit.pdf>
- კალაძე, კ. (1970). ფიქრები. თბილისი: „მერანი“.
- მროველი, ლ. (1955). ცხოვრება ქართველთა მეფეთა. // ქართლის ცხოვრება, ტომი I, ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი. [https://wikisource.org/wiki/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98_%22%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90%22_\(1955\)#%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98](https://wikisource.org/wiki/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98_%22%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90%22_(1955)#%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98)
- სარია, ზ. (2021). დაკვირვება ნ. ბარათაშვილის სათრფიქლო ლექსებზე (ევროპული რომანტიკული პოეზიის ფონზე). https://www.researchgate.net/profile/Zeinab-Saria/publication/348845856_Observation_on_Love_Poems_by_N_Baratashvili_Compared_to_European_Romantic_Poetry/links/6012e6c5299bf1b33e30ac90/Observationon-Love-Poems-by-N-Baratashvili-Compared-to-European-Romantic-Poetry.pdf
- შარაბიძე, თ. (2010): ნიკოლოზ ბარათაშვილის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში აზერბაიჯანელი ქალი უყვარდა, ჟ. გუმბათი, 2010, 23 (139), 14-20 ივნისი.
- ჩოხანოვი, მუშვიგ (2016). აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები. ჟ. „ქართველოლოგი“. eISSN 1512-441X <https://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/16/10>
- ჩახრუხაძე (2004). თამარიანი. <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/44.thamariani.pdf>
- ცერცვაძე, მაია (2017): XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი გარემო ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით (ახალი ასპექტები, კვლევა, ანალიზი) დისერტაცია ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi/Maia_Cercvadze.pdf

- Əliyev, R. (2008): *Ədəbiyyat nəzəriyyəsi / ალიევი, რ. ლიტერატურის თეორია, აზერბაიჯანულ ენაზე*/. Bakı: Mütərcim. *ციტირებულია წერილიდან* Багирова, Меджнунов.
- Aliyeva, Dilara, (1981). One heart – one wish. Bakı, “Yazıçı”, 217. / *ალიევა დილარა, ერთი გული – ერთი სურვილი*. ბაქო, „იაზიჩი“, 217. *ციტირებულია წერილიდან* (ზობანოვი, 2016).
- Elbakidze M, Modebadze I. (2022): The Concepts and Realities of the Eastern Culture in "The Knight in the Panther's Skin". Abstract Book of the XXIII Congress of the ICLA, 382-383.
- Багирова, Ирада Саид кызы, Меджнунов, Рагим Мамедага оглы. (2018): Влияние азербайджанской культуры на развитие Тифлисской литературной среды второй половины XIX- начала XX вв. *Naukoviy visnik. Історичні науки ОНЭУ (Одесский Национальный экономический Университет)*, 215-230. <http://n-visnik.oneu.edu.ua/collections/2018/255/pdf/215-230.pdf>
- Богомоллов Игорь, Миминошвили Роман (1985): Дружба, уходящая в века // Богомоллов Игорь, Миминошвили Роман. Брат ты братом силен. Москва: „Советский писатель“, 172-199.
- Волкова, Н. Г. (1978): Азербайджанцы Грузии. (По материалам полевых исследований 1973-1976 гг.) // Полевые исследования Института этнографии, 1976. М.: Наука.
- Гаджиев, А. (1980): Тифлисская литературная среда / А. Гаджиев. – Баку: Язычы, 183. (აზერბ. ენაზე). *ციტირებულია წერილიდან* (Багирова@Меджнунов, 2018).
- Гаршин И.К. (2023): Популяция J2-M172 [средиземноморцы] <https://www.garshin.ru/evolution/anthropology/populations/haplogroups/y-dna/j-y-hg/j2-adam-clade.html>
- Ениколопов, И. К. (1938): Поэт Мирза Шафи. Баку: Изд-во АзФАН СССР, 1938.
- Каджар, Чингиз (2007): Старая Шуша Баку, "Şərq-Qərb", 2007, 344 стр. <https://atalar.ru/wp-content/uploads/2019/06/STARAYA-SHUSHA.pdf>
- Касумов, М. (1960): Боевой революционно-демократический журнал «Молла Насреддин». Баку.
- Мирзоева, Н.Ф. (2018): Формирование в конце XIX–начале XX веков русско-азербайджанских литературных взаимосвязей через изучение фольклора. /Mirzoyeva N. Russian-Azerbaijan relations and Azerbaijan folklore at the end of the 19th century – tge biggining of the 20th century/. *Науковий вісник міжнародного гуманітерного університету. Сер. Філологія. Т.1 /“International Humanitarian University Herald. Philology”*/, 156-159. ISSN 2409-1154. http://www.vestnik-philology.mgu.od.ua/archive/v32/part_1/44.pdf
- Пьерге-Гро, Н. (2008): Введение в теорию интертекстуальности. М.: ЛКИ.

References:

- Abasheli, A. (1960). Tkhzulebata k'rebuli or t'omad, t'. II. [Collected Works in Two Volumes, Vol. II]. Tbilisi: "Sabch'ota Sakartvelo".
- Aliyeva, D. (1981): One heart – one wish. Baku, "Yazıçı". Quoted from a letter (Chobanov, 2016).
- Əliyev, R. (2008): Adabiyat nazariyəsi [Literary Theory], in Azerbaijani language Baku: Mütərcim /Quoted from the letter Bagirova @ Medzhnunov (2018)/.
- Aslanovi, E. (2024). Sakartvelos azerbajjanuli mosakhleoba k'rebul „Vatanis“ („Vətən“) pırtıslıbzı. Saertashoriso K'onperentsia „Arkıvtmtsodneoba, ts'q'arotmtsodneoba – t'endentsiebi da gamots'vevebi“ 24-25 sekt'emberi, 2020 ts'eli. [The Azerbaijani Population of Georgia on the Pages of the Collection "Vatani" ("Vətən")]. Tbilisi: "Sakartvelos erovnuli arkivi".
<https://archive.gov.ge/ge/konferentsiis-masalebi-1/saertashoriso-konferentsia-2020-2>
- Bagirova, I @ Majnunov, R. Impact of Azerbaijan Culture on the Development of Literature in Tbilisi in the Second Half of XIX – beginning of XX Centuries. Naukoviy visnik. Історичні науки ОНЗУ, Pp. 215-230.
<http://n-visnik.oneu.edu.ua/collections/2018/255/pdf/215-230.pdf>
- Baratashvili, N. (1968). Tkhzulebani. [Essays]. Tbilisi: "Sabch'ota Mts'erali".
- Bogomolov, I & Miminoshvili, R. (1985). Druzhba, ukhodyashchaya v veka // Bogomolov Igor', Miminoshvili Roman. Brat ty bratom silen. [Friendship that goes back centuries // Bogomolov Igor, Miminoshvili Roman. Brother, you are strong as a brother]. Moscow: „Sovetskiy pisatel“, 172-199.
- Buiukchinari, A. (2019). Sakartvelosa da okros urdos urtiertobebi XIII-XIV ss-shi (Kartuli ts'q'aroebis mikhedvit).[Relations between Georgia and the Golden Horde in the 13th-14th centuries (according to Georgian sources)]. Batumi.
https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_13026_1.pdf
- Chakhrukhadze (2004). Tamariani. [Tamariani].
<https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/44.thamariani.pdf>
- Chobanovi, M. (2016). Azerbaijanul-kartuli lit'erat'uruli urtiertobebi. [Azerbaijani-Georgian Literary Relations]. "Kartvelologi" 26, eISSN 1512-441X
<https://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/16/10>
- Dadiani, N. (1962). Kartvelt tskhovreba. [Georgian Life]. Tbilisi: "Sakartvelos ssr mevnierabata ak'ademiis gamomtsemloba".
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/323646/1/Qartvelt_Cxovreba_1962.pdf
- Elbakidze & Modebadze. (2022). The Concepts and Realities of the Eastern Culture in "The Knight in the Panther's Skin". Abstract Book of the XXIII Congress of the ICLA, 382-383.

Etnik'uri jgupebi Sakartveloshi [Ethnic groups in Georgia].

<https://www.amerikiskhma.com/a/article149269405/1210133.html>

Gadzhiev, A. (1980). Tiflisskaya literaturnaya sreda [Tiflis literary environment].

Baku: YAzychy /Quoted from the letter Bagirova @ Medzhnunov (2018)/.

Garshin (2023): I.K.Garshin. Populyatsiya J2-M172 (sredizemnomortsy). [Garshin.

Population J2-M172 (Mediterraneans)]

<https://www.garshin.ru/evolution/anthropology/populations/haplogroups/y-dna/j-y-hg/j2-adam-clade.html>

Kadžar, Č. (2007). Staraā Šuša [Old Shusha]. Baku, "Şərq-Qərb", 2007, 344 pages.

<https://atalar.ru/wp-content/uploads/2019/06/STARAYA-SHUSHA.pdf>

K'aladze, K'. (1970). Pikrebi. [Thoughts.] Tbilisi: "Merani".

Kasumov, M. (1960). Boyevoy revolyutsionno-demokraticeskij zhurnal „Molla Nasreddin“. [Combat revolutionary-democratic magazine "Molla Nasreddin"]. Baku.

Mirzoyeva, N.F. (2018). Formirovaniye v kontse XIX–nachale XX vekov russko-azerbaydzhanskikh literaturnykh vzaimosvyazey cherez izucheniye fol'klor-a. [Mirzoyeva N. Russian-Azerbaijan relations and Azerbaijan folklore at the end of the 19th century – tge biggining of the 20th century]. "International Humanitarian University Herald. Philology", 156-159. ISSN 2409-1154 http://www.vestnik-philology.mgu.od.ua/archive/v32/part_1/44.pdf

Mroveli, L. (1955). Tskhovreba kartvelta mepeta // Kartlis tskhovreba, t'omi I, Q'aukhchishvilis redaktsiit. [The Life of the Georgian Kings // The Life of Kartli]. Tbilisi.

[https://wikisource.org/wiki/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98_%22%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90_%22_\(1955\)#%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98](https://wikisource.org/wiki/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98_%22%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90_%22_(1955)#%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98)

P'yege-Gro, N. (2008): P'yege-Gro N. Vvedeniye v teoriyu intertekstual'nosti. [Introduction to the Theory of Intertextuality]. Moscow: LKI

Saria, Z. (2021). Dak'virveba N. Baratashvilis satrpiklo leksebze (evrop'uli romant'ik'uli p'oeziis ponze). [Observation on N. Baratashvili's satirical poems (against the backdrop of European romantic poetry)].

https://www.researchgate.net/profile/ZeinabSaria/publication/348845856_Observation_on_Love_Poems_by_N_Baratashvili_Compared_to_European_Romantic_Poetry/links/6012e6c5299bf1b33e30ac90/Observation-on-Love-Poems-by-N-Baratashvili-Compared-to-European-Romantic-Poetry.pdf

- Sharabidze, T. (2010). Nik'oloz Baratashvils sitsotskhilis uk'anask'nel ts'lebshi azerbaijaneli kali uq'varda [Nikoloz Baratashvili in the last years of his life loved an Azerbaijani woman]. "Gumbati", 23 (139), June 14-20.
- Tsertsvadze, M. (2017). XIX sauk'unis p'irveli nakhevis sakartvelos sazogadoebrivi garemo Nik'oloz Baratashvilis ep'ist'oluri memk'vidreobis mikhedvit (akhali asp'ekt'ebi, k'vleva, analizi) [The social environment of Georgia in the first half of the 19th century according to the epistolary heritage of Nikoloz Baratashvili (new aspects, research, analysis)]. Tbilisi.
https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi/Maia_Cercvadze.pdf
- Tushabramishvili, T. (2020). Nik'oloz Baratashvilis psikobiograpia ep'ist'oluri memk'vidreobis mikhedvit. [Psychobiography of Nikoloz Baratashvili according to the epistolary legacy]. Tbilisi.
<https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/322054/1/NikolozBaratashvilisFsiqobiografiaEpistoluriMemkvidreobisMixedvit.pdf>
- Yenikolopov, I. K. (1938). Poet Mirza Shafi. [Poet Mirza Shafi]. Baku: Izd-vo Az-FAN SSSR Vagipi (1968). [Vagif] Tbilisi: "Merani".
- Volkova, N. G. (1978): Azerbaydzhantsy Gruzii. (Po materialam polevykh issledovaniy 1973-1976 gg.) // Polevyye issledovaniya Instituta etnografii, [Azerbaijanis of Georgia. (Based on field research materials from 1973-1976) // Field research of the Institute of Ethnography]. Moscow: "Nauka".